სახალხო გაზეთი

№ 1055 პარასკევი, 29 ნოემბერი 1913 წ. № 055

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ ს თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა [illegible] კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., **თვეში**—75 კაპ. **ცალკე №** ყველგან 5 კ., **დამატებიანი**—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

შაბათს, 30 ნოემბერს, გარდაცვალების მე-9 დღეს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

თავად ვასილ ალექსანდრეს ძის

ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენიებლად, რასაც აუწყებს **დედა გარდაცვალებულის შვილებით.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—1 საათზე. 839

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა

წლიური საზოგადო კრების

გაგრძელება

მოხდება **კვირას, 1 დეკემბერს,** და დაიწყება დილის 11 საათზედ. „ახალ კლუბის" დარბაზში. 1611

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) **განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფობა ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქ[ი]ენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი** მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი** გ. ზ. სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს. **ფედოროვი** ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი** გ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი** ნ. ა. ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი** რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა** ლ. ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე** ი. ე. ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი** ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$ **მიქელაძე** შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. **ფედოროვი** მ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯაგახიშვილი** ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი** გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი** ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. **ორემბოვსკი** ნ. ს. ყოველ დღე $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი** მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე** ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606''და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი ხაფასურით. წ. 1466

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

„ს უ ს ხ ი"

გამოდის ამა წლის პირველ დეკემბრიდან.

დაიბეჭდება

ლექსები, მოთხრობები, სცენები დღევანდელ პირ-ვარამზე, იგავ-არაკები სხვადასხვა საგნებზე, სურათები გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთა, კარიკატურები და გასართობები.

ხელის მოწერა: წელიწადში 2 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად ფოსტის მარკებით.

მისამართი: Тифлисъ, Мухранская ул. № 12, журналъ „С У С Х И".

მენაჯვარე

პირველ-ხარისხოვანი

დ ი დ ი ც ი რ კ ი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ, შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 29 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

უკანასკნელი დღე ფალავანდთა.

დღეს ჭიდაობენ: ფინალური შეჭიდავება ფავორიტებისა პრიზებისა. გადამწყვეტი პირველსა და მეორე პრიზზე კოპიევი და ციპსი; მესამე და მეოთხე პრიზზე გადამწყვეტი საბატიე და ფონ-სონალო; კავკასიური—გლდანელი და სეპნიკი. ჭიდაობის შემდეგ პრიზების დარიგება.

ანონსი: ხვალ დაიწყება ახალ ფალავანდთა ჭიდაობა.

840 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჭრაგიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხივური ხსივებით ფილტვებისა და გულის გამანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწულებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

საბურთალოზე

მშვენიერ ადგას

ახ[ლად] აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა, სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ნ. ა. პოპოვა. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

ექ. ქალი ოსიპოვისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1462

ქ. გ ო რ შ ი

(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

დ ო ქ ტ ო რ ი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^1/_2$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი მღვდელი ს. ა. ლ ე ჟ ა ვ ა

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—57.** 779

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი მ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი ქალისა ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ტფილისი, 29 ნოემბერი

საინტერესო კამათი და სამწუხარო დასასრული.

სახელმწიფო საბჭოში ფრიად საინტერესო კამათი გაიმართა იმის შესახებ, მიეცეს თუ არა პოლონელებს უფლება პოლონეთის ქალაქების თვითმმართველობათა სხდომებზე პოლონურ ენის ხმარებისა. საინტერესოა ეს კამათი მით, რომ კანონ-პროექტს იცავდა მთავრობაცა, წინააღმდეგი კი იყო საბჭოს უმრავლესობა. ჩვეულებრივად ამბობენ, სახელმწიფო საბჭო მთავრობის ყურ-მოჭრილი ყმაა; იგი მხოლოდ იმ კანონ-პროექტებს უჭერს მხარს, რომლებიც თვით მთავრობას მოსწონსო. რამოდენადმე ეს მართალია. ვამბობთ, რამოდენადმეო, რადგანაც არის ხოლმე ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო საბჭო მთავრობის წინააღმდეგ მიდის. ასეთს, შემთხვევებში სახელმწიფო საბჭო უფრო მეტს კონსერვატორობას იჩენს, ვიდრე თვით მთავრობა. უცნაურია, მაგრამ სწორედ ასეა. აიღეთ, მაგალითად, ზემოხსენებულ კანონ-პროექტის ბედი. სახელმწიფო სათათბირომ საჭიროდა სცნო კანონ-პროექტის განხორციელება. მთავრობა ამტკიცებს, რომ პოლონურ ენის შემოღება პოლონეთის საქალაქო თვითმმართველობებში არავითარ სახელმწიფოებრივ საფრთხეს არ წარმოადგენს, რომ ძირითად კანონებში არსად არ არის ნათქვამი, პოლონურ ენის ხმარება აკრძალულიაო. ყველა ამ მოსაზრებათა ძალით მთავრობასაც შესაძლებლად მიაჩნია ზემოხსენებულ კანონ-პროექტის განხორციელება. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენენი უარს არიან, მათ დახატეს საშინელი სურათი პოლონეთის განდგომისა; შავი აჩრდილი პოლონეთის სეპარატიზმისა კვლავ აღიმართა მათ დამფრთხალ გონების თვალ-წინ და დაასამარა სასარგებლო კანონ-პროექტი. საინტერესოა ის გარემოება, რომ მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებს, პოლონეთის ადგილობრივი, წმინდა სამეურნეო ხასიათის ინტერესი მოითხოვს ზემოხსენებულ კანონ-პროექტის განხორციელებასო, მემარჯვენენი კი უპასუხებდნენ, დაე იზარალოს ადგილობრივმა ინტერესმა, ჩვენ პოლონელებს პოლონურად ლაპარაკის ნებას არ მივცემთო. ერთმა ორატორმა ისიც კი სთქვა, დღეს რომ პოლონელებს მივცეთ ამის უფლება, ხვალ სხვები მოითხოვენ, და რუსეთი ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაიქცევაო. მემარჯვენე ორატორების გულის ზრახვანი უფრო მოეწონა სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობას და სათათბიროსა და თვით მთავრობის წინააღმდეგაც კი უარჰყო კანონ-პროექტი.

ასეთია სახელმწიფო საბჭო და ასეთს როლსა თამაშობს იგი რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რამდენი ჯაფა და შრომაა საჭირო, რომ ცოტად თუ ბევრად პროგრესიულმა კანონ-პროექტმა უვნებლად გაიაროს სათათბირო! მთავრობის მორჩილ პარტიების წყალობით ასეთ კანონ-პროექტს ფრთები ეკვეცება, მახინჯდება. ფრთებ შეკვეცილი კანონ-პროექტი სათათბიროდან სახელმწიფო საბჭოში გადადის და იქ კი საუკუნო განსვენებასა ჰპოულობს.

ასეთია დღევანდელი რუსეთის სინამდვილე, ასეთს მოჯადოებულ წრეში ტრიალებს იგი!

სომხური პრესა

სომხური გაზეთი „მშაკი" ეხება პოლიტეხნიკუმის საკითხს და, სხვათა შორის, ამბობს: „სად აიგება პოლიტეხნიკუმი, ნავთლუღში თუ საბურთალოზე, ამ საკითხს სრულებით მნიშვნელობა არა აქვს კავკასიის მცხოვრებთათვის—რუსი, სომეხი, ქართველი, თათარი—რომლებიც ისარგებლებენ ამ უმაღლეს სასწავლებლით და გაჰგზავნიან თავიანთ შვილებს, იქ უმაღლეს სწავლის მისაღებად. მაშასადამე რად ეს საკითხი გადაიქცეს სომხურ ანუ ქართულ ეროვნულ საკითხად, მეტი რომ არა ვსთქვათ, უადგილოა, რადგანაც შუშიდან, ერევნიდან, კავკავიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოსულ სომხის, რუსის, თათრის, ქართველთა ახალგაზდებისათვის ერთი და იგივეა, თუ პოლიტეხნიკუმი სად იქნება, საბურთალოში თუ ნავთლუღში.

მხოლოდ, პრესის ერთი ნაწილი, უმთავრესად ქართული გაზეთები, რომელნიც პროპაგანდას ეწეოდნენ საბურთალოს სასარგებლოდ, სრულებით უადგილოთ იმ აზრს ჰქადაგობენ, ვითომც ნავთლუღის მომხრეთა შორის უნდა ვიგულისხმოთ სომეხთა აგრესიული პატრიოტიზმი და სურვილი სომხებისა ვნება მიაყენონ ქართველებს. რა უსაფუძლობაა! რა კავშირი აქვს სომხის ხალხს,—თუმცა „ტფილისელ სომხის ხალხს, აღარ ვასახელებთ პროვინციის სომხის ხალხს—ტფილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნებთან ანუ იმ სომხებთან, რომლებსაც ნავთლუღში მიწები აქვთ? განა უფრო სამართლიანი არ იქნება, ეს საკითხი ბუნებრივ ფარგლებში მოვათავსოთ და მივიღოთ, რომ ტფილისში დაარსდა ორი მიმართულება, რომელთაგანაც ერთს ჰსურს ამა თუ იმ საბუთის გამო პოლიტეხნიკუმი ნახოს ნავთლუღში, მეორეს იგივე, ამა თუ იმ საბუთის გამო, საბურთალოში.

თვით ხალხს, სომეხს, ქართველს, რუსს, თათარს, არავითარი კავშირი არა აქვს ნავთლუღთან ანუ საბურთალოსთან და არავითარი სარგებლობა პირველიდან ანუ მეორიდან. მას ესაჭიროება მხოლოდ პოლიტეხნიკუმი.

...ადგილის საკითხი დამოკიდებულია ტეხნიკურ და ფინანსიურ პირობებისაგან.

რა ადგილი აქვს აქ სომეხთა აგრესიულ პოლიტიკას ანუ პატრიოტიზმს. რისთვის ურევთ სომხის ხალხს, რომელსაც არავითარი წილი არა აქვს ამა თუ იმ მიმართულებაში ანუ ჯგუფის ლტოლვილებაში. სომხის ხალხისათვის სულ ერთია ნავთლუღში იყოს პოლიტეხნიკუმი, თუ საბურთალოში. მოასვენეთ სომხობა".

გაზეთი ურჩევს ყველას მიატოვონ დავა და შეერთებულის ძალით იმუშავონ პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ.

„საკითხი გადაწყვეტილია. ამაოდ საჭირო არ არის ეროვნულ შოვინისტურ ლტოლვილების გაღიზიანებაო". ასე ათავებს გაზეთი მეთაურ წერილს.

საინტერესოა ვიცოდეთ, ვის ეკამათება გაზეთი „მშაკი"? რამდენადაც ჩვენ ვიცით, ქართულ გაზეთებში არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევას ეროვნული მნიშვნელობა აქვს? რა ალაპარაკებს „მშაკს"? ალბად თვითონვე თუ ჰგრძნობს, რომ ძაღლის თავი სულ სხვაგან მარხია. ეს რომ ასე არ იყოს, „მშაკ"-ს ის არ მოელანდებოდა, რის შესახებაც სწერს.

თუ არ გცემენ, რა გაყვირებს?

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბრის სხდომა

როძიანკო თავმჯდომარეობს.

მორიგ საკითხად არის შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა განმარტება დონის სამხედრო ოლქში შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების თაობაზე.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე აცხადებს, რომ დროზე მიღებულ ზომების წყალობით შავი ჭირი აცილებულ იქმნა. მომავალში ამ ჭირის თავიდან ასაცილებლად საჭიროა თრითინების გაწყვეტა.

სათათბირო იხილავს მთავრობის განმარტებას მეოთხე სათათბიროს არჩევნების დროს უკანონობის ჩადენის თაობაზე.

ბურიანოვს შემდეგი ფორმულა შეაქვს: შეკითხვების განხილვის დროს გამოირკვა, რომ არჩევნების დროს ბევრი უკანონობა მომხდარა, დამნაშავენი კი პასუხისგებაში არ მიუციათ, ამისათვის ს.-დემოკრატებს მინისტრთა განმარტება დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნიათ.

როდიჩევი. მინისტრთა განმარტებაში აღნიშნულია, რომ არჩევნების უკანონობაზე მაშინ ატყდა ლაპარაკი, როდესაც სათათბირომ იგი კანონიერად იცნო. ჯერ ერთი სათათბიროს ყველა არჩევნების დამტკიცება არ დაუსრულებია, მეორეც, უნდა ითქვას, რომ დიდ ქალაქებს გარდა, ისიც გამონაკლისი, არჩევნები ყველგან უკანონოდ სწარმოებდაო. თვითონ მინისტრის ამხანაგმაც აღიარა, რომ არჩევნები სასულიერო პირთა გავლენით მოხდაო. როდიჩევს მოჰყავს მაგალითები, როდესაც არჩევნებში ერეოდნენ ადმინისტრატიული და სასულიერო პირნი.

ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.

გერასიმოვსაც მოჰყავს საბუთები, რომ არჩევნებში ჩადენილი უკანონობანი მთლად ცენტრალურ მთავრობას ეკისრება. მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხოდ დასტოვა შეკითხვა, კანონის დამრღვევნი პასუხისგებაში მისცეს თუ არა.

რადგან დრო გადასული იყო, მოლაპარაკე თავისს სიტყვას დაასრულებს შემდეგ სხდომაზე, რომელიც ოთხშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

27 ნოემბრის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭომ განიხილა სამი უმნიშვნელო კანონ-პროექტი. შემდეგ შეუდგა პრივისლიანის ცხრა გუბერნიაში ქალაქის თვითმართველობათა შეცვლის კანონ-პროექტის განხილვას.

თავმჯდომარე. რადგანაც კანონ-პროექტი უკვე განიხილა საბჭომ, სათათბირომაც ორჯერ განიხილა, ამისთვის მსჯელობის დროს მთლად კანონ-პროექტს არ უნდა შევეხოთ. მსჯელობა გვექნება იმ მუხლებზე, რომელშიაც სათათბირომ რაიმე ცვლილება შეიტანა, მოლაპარაკეთ მიეცემათ ლაპარაკისთვის მხოლოდ ნახევარი საათის ვადა. განსახილველია სათათბიროს კანონ-პროექტის მე-31 მუხლის მეოთხე პუნქტი, რომელიც ეხება პოლონურ ენის ხმარებას ქალაქის საბჭოს კრებებზე.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანს საბჭო ამ საკითხზე, მთავრობა მოვალეთა სთვლის გარკვეულად გამოსთქვას თავისი აზრი; მთავრობა კვლავ იმ შეხედულებისაა, რომელიც მან გამოსთქვა 1906, 1907, 1909 და 1910 წლებში. ძირითადი კანონების მესამე მუხლი რუსულ ენას სახელმწიფო ენად აღიარებს, მაგრამ ადგილობრივ ენათა ხმარებას არ უარჰყოფს. ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მუშაობაში ჩაითრევთ საზოგადოებრივ ძალებს. პრივისლიანის მხრის მცხოვრებთ საკმაოდ არ იციან რუსული ენა. ამის გამო შეგვიძლიან სინანული გამოვთქვათ, მაგრამ ფაქტებს კი ანგარიში გაუწიოთ. ამ კანონ-პროექტის ერთად-ერთი მიზანია, ქალაქის სამეურნეო მუშაობაში მიიზიდოს ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალნი. მთავრობის აზრს მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ. — ისინი ამბობდნენ: უსამართლობაა ასეთი უფლება მივანიჭოთ ერთ განაპირა ქვეყანას, ამით დაირღვევა სახელმწიფო ენის მთლიანობა, იგი ფედერაციისაკენ მისწრაფებას შეჰქმნისო. მაგრამ იმპერიაში ისეთი ადგილი არ არის, სადაც მცხოვრებთა ერთგვარობა ისეთი იყოს, როგორც პრივისლიანის მხარეში; პრიბალტიის მხარეში უკვე იყო შემოღებული ადგილობრივი ენის ხმარება ქალაქის თვითმართველობებში; იქ გერმანული ენა იყო ხმარებაში; მხოლოდ 1889 წელს გააუქმეს ასეთი წესი. განა არ შეიძლება პრივისლიანის მხრის ქალაქთა თვითმართველობაში სიტყვიერი მსჯელობის დროს ნება დართული იყოს ადგილობრივ ენაზე ლაპარაკი უფრო მეტი შეზღუდვით, ვიდრე ის იყო პრიბალტიის მხარეში? კანონ-პროექტის მიზანი რომ მიღწეული იყოს რუსული ენის ხმარებით, რასაც საბჭო უჭერს მხარს, მთავრობაც მას გაჰყვებოდა, მაგრამ ამას ქალაქის მეურნეობის განვითარება-წარმატება არ მოჰყვება. ამიტომაც მთავრობას სასურველად მიაჩნია დროებით მაინც ნება მისცენ ადგილობრივ ენაზე ლაპარაკისა ქალაქის საბჭოს სხდომებზე. ანგარიში რომ გაუწიოთ იმ ოცნებასაც, რომ სლავიანთა ნაკადებმა რუსეთის ზღვაში უნდა მოიყარონ თავიო, ეს კანონ-პროექტი სწორედ ამ მიზანთან გვაახლოვებს და მისი განხორციელება ამ ოცნების დაახლოვება იქნება.

სტიშინსკი. სინანულს გამოსთქვამს, რომ რუსულ ენის უფლებათა გაქელვას, მის შარავანდედის მოხსნას გვიქადებს ჩვენ რუსეთის მთავრობის ბელადი.

პრივისლიანის მხრის მოსამსახურენი ირწმუნებიან, რომ ქალაქებში რუსულ ენის ცოდნა საკმაოდ არის გავრცელებულიო. როდესაც პრიბალტიის მხარეში პირველად შემოიღეს ქალაქის თვით-მართველობანი, გამარჯვებად ჩავთვალეთ, რომ რუსულ ენას გერმანულ ენასთან თანაბარი უფლებანი ჰქონდა მინიჭებული; 12 წლის შემდეგ მთავრობამ სულ მთლად გააუქმა გერმანული ენა; რუსულ ენის შემოღებას არავითარი მღელვარება არ გამოუწვევია. პოლონეთში ქალაქების მცხოვრებთა შორის პოლონელების გარდა უმრავლესობა ებრაელობაა და გერმანელები. თუ კი თანასწორობის პრინციპს ვაღიარებთ, ქალაქის საბჭოში კამათის დროს ნება დართული უნდა იყოს კამათი ებრაულ და გერმანულ ენებზედაც სწარმოებდეს; მაგრამ სათათბიროს კანონ-პროექტის დამცველნი ასე როდი იქცევიან, რადგანაც ისინი თანასწორობის პრინციპს კი არ აღიარებენ, არამედ ჰსურთ მათ პოლონური ენა მეორე სახელწიფო ენად აქციონ. თუ კანონ-პროექტს მივიღებთ, მაშინვე სხვა და სხვა ერები სურვილს გამოსთქვამენ ერობებში და ქალაქების თვით-მმართველობაში ადგილობრივ ენის ხმარება იყოს შემოღებულიო; ჩვენ მივიღებთ ბაბილონის გოდოლს. პოლონელები, მიიღებენ რა პოლონურ ქალაქის თვით-მმართველობას, მოისურვებენ პოლონურ ერობას, სკოლას, სასამართლოს, სენატს, საკანონმდებლო დაწესებულებას, და ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი გაიღვიძებს და იხილავს ნამდვილ პოლონურ ავტონომიას. ენის მთლიანობა სახელმწიფოს მთლიანობის მომასწავებელია. სათათბირომ ეს დროშა დაბლა დასწია. საბჭომ იგი კვლავ უნდა ააფრიალოს.

ზინოვიევი მეორე. სრულიად საჭირო არ არის წმინდა ადგილობრივ საკითხს მივცეთ პოლიტიკური ხასიათი. კანონ-პროექტის მიზანია პრივისლიანის მხარეში შეჰქმნას ქალაქის თვითმართველობათა კარგი ადმინისტრაცია. სენატორ ნეიდჰარტის რევიზიამ ნათელჰყო იმ მხარეში ქალაქის თვითმართველობათა დღევანდელი მდგომარეობის უვარგისობა. პრივისლიანის ქალაქებში მცხოვრებთა სალაპარაკო ენა პოლონურია. ხმოსანთათვის რუსული ენის ცოდნა სავალდებულო რომ გავხადოთ, ქალაქის ადგილობრივი მცხოვრებნი სულ მთლად ჩამოჰშორდებიან თვითმართველობას და საქმის ბატონ-პატრონობა კონსერვატიულ ელემენტებს ჩაუვარდებათ ხელშიო. კანონ-პროექტი უპირატესობას რუსულ ენას ანიჭებს: კამათი ამ ენაზე მოხდება, თავმჯდომარე რუსულად გადაჰთარგმნის პოლონურად წარმოთქმულ სიტყვებს, სად არის აქ რუსულ ენის დამცირება?

დრუცკოი-სოკოლინსკი მოითხოვს მუხლი სათათბიროს რედაქციით მიიღონ, რადგანაც რუსულ ენის ინტერესებს იგი საკმაოდ იცავსო. გაზვიადებული მოთხოვნილებანი რუსულ ენის სასარგებლოდ არავითარ სარგებლობას არ მოუტანს უკანასკნელს და მხოლოდ შუღლს გააღვივებსო.

პრიბალტიის მხარეში, სადაც ადგილობრივ ენის ხმარება აკრძალულია ქალაქის თვითმართველობის კრებებზე, ყოველივე საკითხი ხმოსანთა ცალკ-ცალკე სხდომებზე სწყდება. რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობანი ხელს უშლიან სლავიანთა მთლიანობის იდეის განხორციელებას. რუსის მცხოვრებთა ინტერესები უნდა დავიცვათ. მაგრამ როდესაც პოლონელებს ვავიწროვებთ, ნუ ვიფიქრებთ, ვითომც ამას ვჩადით რუსეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ.

კრამერი. წინა მოლაპარაკის აზრს ემხრობა.

ობოლენსკი. საკითხთა პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა დავაყენოთ. შეუძლებელია მცხოვრებთ ხელი შეუშალოთ ქალაქის თვითმმართველობის მუშაობაში. პოლონეთში ყველანი პოლონურ ენას ლაპარაკობენ! რუსული თუმცა იციან, მაგრამ საკმაოდ არა. ქალაქის საქმეთა წესიერ წარმოებისთვის საჭიროა ადგილობრივ ენის შემოღება.

რაკოვიჩი. რუსეთში მხოლოდ ერთი ენა უნდა იყოს ხმარებაში—სახელმწიფო ენა. იგი არის სხვა და სხვა ტომთა შემაკავშირებელი ძალა. საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში —მხოლოდ სახელმწიფო ენა მეფობს. სახელმწიფო ენის საკითხი ფრიად დიდია და რთული. მისი გადაწყვეტა ასე გზა-გზა შეუძლებელია. თუ საჭიროა, მივცეთ პოლონეთს თვითმმართველობა და ერობა. რუსეთმა ბევრი რამ მიანიჭა პოლონეთს; იგი ამოათრია ქაოსიდან და კულტუროსან ქვეყნად აქცია. პოლონელებმა იმაზე მეტი არ უნდა მოითხოვონ, რაც მას რუსეთმა მისცა. მოვიგონოთ მებადურის და ოქროს თევზის ამბავი. ადგილობრივ მეურნეობის ინტერესთა დაზარალება გვირჩევნია, რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დაზარალებას. თუ კანონი ნებას მისცემს რუსულ ენის არ ცოდნის ნებას, პოლონელები სრულიადაც არ ისწავლიან. მოლაპარაკე მოუწოდებს საბჭოს, უთხრას პოლონელებს: თავი ანებეთ ფუჭს ოცნებას!

შებეკო. უპასუხებს სტიშინსკისა და რაკოვიჩსა. ტყუილია ვითომ პოლონეთში ქალაქის თვითმმართველობიდან რუსული ენა დევნილი იყოს. მას თვისი ადგილი მისაკუთრებული აქვს. ბალტიის მხრისა და პოლონეთს შორის დიდი განსხვავებაა: სახელმწიფო ტიტულში მოხსენებული არის პოლონეთის მეფე, ბალტიისა კი არ არის. პოლონურ ენის უბრალო უფლებათა დაცვა სრულიადაც არა ჰნიშნავს რუსეთიდან განცალკევების სურვილს. საოცარია სწორედ, ადამიანი დამშეული გყვანდეს და უკრძალავდე პურის ჭამის მადა რად ოგდისო! თუ სათათბირომ დაბლა დაუშვა რუსეთის დროშა, მაშასადამე, სტოლიპინსაც დაუშვია დაბლა, რუსეთის მთავრობასაც, მაგრამ სათათბიროს არ დაუშვია დროშა, მან გაიგო რუსეთის სახელმწიფოებრივი საჭიროებანი და არ მოისურვა გადამეტებულ შევიწროვებათა შემოღება. ამით უჭირავს მას მაღლა დროშა რუსეთის სახელმწიფოსი.

სხდომა შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას სიტყვა წარმოსთქვა **გურკომ** პოლონეთის მომხრეთა განცხადება, ვითომც პოლონური ენა მშობლიური ენა იყვეს პოლონეთში, სწორე არ არისო: სასტატისტიკო ცნობით პოლონეთის 113 ქალაქში მხოლოდ 23 ქალაქშია პოლონელთა უმრავლესობა დანარჩენ 93 ქალაქში პოლონელები უმცირესობას შეადგენენ. რუსეთის იმპერიის ყველა დაწესებულებებში, სახელმწიფო იქნება თუ საზოგადო, უნდა მეფობდეს ერთად ერთი ენა—რუსული. ეს სრულიადაც არ ნიშნავს პოლონელთა შევიწროვებას. არა მარტო პოლონეთში თავისუფლად გაისმის პოლონური ენა, არამედ ვითარდება მისი კულტურა და ლიტერატურაც. ქალაქის თვითმართველობაში პოლონური ენა რომ შემოვიღოთ, რუსული ენა თანდათან დაეცემა და ბოლოს გამოძევდება პოლონეთიდან. აქ ამბობენ, პოლონური ენა დროებით შემოვიღოთო. მოლაპარაკე კითხულობს: ეს გულუბრყვილობაა, თუ პროვოკაცია? ნუ თუ მართლა ჰფიქრობენ, შემდეგ წაართმევენ ის, რასაც ეხლა მიანიჭებენ. უნდა გვახსოვდეს ძირითადი კანონების მესამე მუხლი, იქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ რუსული ენა არის საერთო სახელმწიფო ენა ყველა დაწესებულებაში.

შრეიბერი თანახმად ძირითად კანონების მესამე მუხლის მეორე ნაწილისა ადგილობრივ ენათა ხმარება დაწესებულებებში ნება-დართულია ცალკე კანონით, მაშასადამე კანონპროექტი სრულიად ეთანხმება რუსულ კანონმდებლობას.

ვიტე. კანონპროექტის ზოგიერთ მუხლის განხორციელება ცხოვრებაში სიძნელეს გამოიწვევსო.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა, მიიღებს თუ არა საბჭო მე-31 მუხლის მეოთხე პუნქტს სათათბიროს რედაქციით. საბჭომ 94 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 74-სა უარჰყო სათათბიროს რედაქცია და ეს მუხლი საბჭოს რედაქციით მიიღო.

თავმჯდომარე. სხდომის შეწყვეტის დროს ზოგიერთმა გადმომცა, რომ გურკომ თავის სიტყვის დროს მოხდა ფრიად სამწუხარო და საბჭოში ჯერად არ მომხდარი შემთხვევა. შეეხო რა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვის ერთ ნაწილს, გურკოს უთქვამს: „რა არის ეს გულუბრყვილობა თუ პროვოკაციაო“. ეს სტენოგრამაში არის აღნიშნული. უკანასკნელი სიტყვები არც მე, არც საბჭოს მდივანს არ გაგვიგია; მაგრამ სტენოგრამაში არის აღნიშნული, მაშასადამე, გურკოს ეს სიტყვები უთქვამს.

ამის გამო, თუმცა დაგვიანებით, მოუწოდებ გურკოს წესიერებისაკენ, როგორც საბჭოს თავმჯდომარე ბოდიშს ვიხდი, იმედი გვაქვს თვით გურკოც აღიარებს თვის შეცდომას.

გურკომაც ბოდიში მოიხადა.

თავმჯდომარემ. ინცინდენტი დასრულებულად აღიარა.

შემდეგ საბჭომ განიხილა და მიიღო კანონპროექტის 40 მუხლი. კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის გაგრძელება შემდეგ სხდომისთვის გადაიდო.

შემდეგი სხდომა დანიშნულია 29 ნოემბრისთვის.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წესიერი დასვენება.** სახელოსნო დაწესებულებებში მოსამსახურენი ამ ჟამად დიდს გაჭირვებას განიცდიან წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებათა უქონლობის გამო. ხშირად შუაღამემდე უხდებათ მუშაობა არა მარტო დიდებს, თითის ოდენა ბავშვებსაც ქალაქის გამგეობა შესაფერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემას აგვიანებს, თუმცა დადგენილებათა პროექტი უკვე შედგენილია და შესასწორებლად საგანგებო კომისიას აქვს გადაცემული. დროა, ქალაქის გამგეობამ გაითვალისწინოს მოსამსახურეთა გაჭირვებული ცხოვრება და კომისიას დააჩქარებინოს სავალდებულო დადგენილებათა პროექტის შედგენა.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის** მიერ არჩეული საგანგებო კომისია გუშინ გორის მაზრას გაემგზავრა ალაიანის სანერგის მისაღებად. კომისიაში არიან: მევენახეობის უფროსი სპეციალისტი ვისნიოვსკი, უფროსი ინსტრუქტორი ი. იოსელიანი და კომიტეტის წევრნი ვ. რცხილაძე და ბ-ხი მგალობლიშვილი.

◆ საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ განკარგულება მოახდინა, რათა ეგზარხოსის სასახლის ეკლესიაში **დაუჯდომელი** იკითხონ ხოლმე ყოველ ოთხშაბათობით. ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, დაუჯდომელი თვით ეგზარხოსმა წაიკითხა.

◆ კვირას, 1 დეკემბერს ძმ. ზუბალაშვილის სახალხო თეატრში გაიმართება საინტერესო **„დილა-მეჯლისი“** სამ განყოფილებად. ახალგაზრდა ლექტორი ვ. კოტეტიშვილი წაიკითხავს ლექციას: **„ხორსპარელი და მისი სიმღერა“**. წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებებს ახალგაზრდა მგოსნები: ი. გრიშაშვილი, ბ. ახოსპირელი, გ. ქუჩიშვილი, ი. მჭედლიშვილი და სხვ. სახალხო სახლთან არსებული ქართველ ქალთა მომღერალი გუნდი ი. გოძიაშვილის ლოტბარობით შეასრულებს სხვა და სხვა ხალხურ სიმღერებს. ქალები შეასრულებენ ტრიოს. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს, სიფარლოვი—კინტოურ სცენებს. გედევანიშვილი და გოცირიძე შეასრულებენ კუპლეტებს „ვაი-უის“ ხმაზე. სადირაშვილი დაუკრავს თარზე. გაიმართება ლეკური და სხვა. დაიწყება დილის 11 საათზე.

◆ საზოგ. **„კახეთი“**. საზოგადოებას წარსულ საანგარიშო წელს გაუყიდნია 83 ათასი ვედრო ღვინო, თითქმის 300,000 მანეთისა. წმინდა მოგება 10,000 მანეთამდე დარჩება, გარდა განყოფილებებისა. რადგანაც წარსულ წელს ორი ახალი განყოფილება გაიხსნა, ამიტომ მოგები მოსალოდნელი არ არის. ამ ჟამად საზოგადოებას განყოფილებები აქვს: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, როსტოვში და ბათომში. საზოგადოების არსებობაში ჯერ ამოდენა ღვინო არ გაყიდულა. თვით საქმეებიც ეხლა კარგა მიდის და უფრო კარგადაც წავა, რადგანაც სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორამ წელს კრედიტი გაუხსნა.

◆ ნოვოროსიის უნივერსიტეტის ანატომიური ინსტიტუტის პროზექტორი ექიმი ნიკ. კახიანი და სტუდ. პ. პ. ქავთარაძე ქართულად ადგენენ **„ადამიანის ანატომიას“**. წიგნი ნახატებიანად 500 გვერდ. იქნება. ღირება 3 მან. 50 კაპ. კლიშეები ოდესაში მზადდება.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** 27 ნოემბერს მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომისიის კრება მოხდა. პირველად კრებამ მოისმინა მეფის მოადგილის რეზოლიუცია პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევის შესახებ და შემდეგ მორიგ საკითხთა განხილვის შეუდგა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კომიტეტს წარუდგინა პოლიტეხნიკუმის შენობისა და მის შენახვის პროექტი. დაწვრილებით პროექტების შესამუშავებლად კომიტეტმა აირჩია ოთხი კომისია: საალმაშენებლო, სატეხნიკო, სასწავლო და სარევიზიო, რომელთაც მუშაობა სამის თვის განმავლობაში უნდა დაასრულონ იმ ანგარიშით, რომ მომავალ გაზაფხულს შესაძლებელი გახდეს პოლიტეხნიკუმის საძირკვლის ჩაყრა. კომიტეტმა დაადგინა, საჭირო ფული პირველ ხანად იმ 100,000 მანეთიდან ხარჯოს, რომელიც მეფის მოადგილემ შესწირა.

◆ **სამართალში აძლევენ ჯარის** კაცთ მიხაილევსა და ბუნაევს, რომელთაც პოლიციელს ქრთამად ათი შაური შეაძლიეს.

◆ **უკვალოდ დაიკარგა** 18 წლის ქალი ვერა ივანეს ასული მირონოვისა, რომელიც ვორონცოვის ქუჩაზე (№ 49) სცხოვრობდა.

◆ **სამართალში აძლევენ გვიან ვაჭრობისათვის** მაღაზიების პატრონებს: ზახაროვს, აივაზოვს სულაძეს, ოსიპოვს, ვარტუმიანცს და უზლანერს.

◆ **დეპუტაცია მეფის მოადგილესთან.** გუშინ, 28 ნოემბერს, ნაშუადღევის სამს საათზე. მეფის მოადგილეს გრაფს ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს წარუდგა ქალაქის საბჭოს დეპუტაცია და ტფილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა მიულოცა. დეპუტაციაში იყვნენ შემდეგი ხმოსნები: პ. ს. ვასილიევი, ი. ნ. ხუნუნცი, ვესელოვზოროვი, მ. ა. ჯაბარი, თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ა. ს. ბაბოვი, თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, პ. მ. დოლუხანოვი, ი. ს. ალიხანოვი, მ. ნ. ათაბეგოვი, კ. ე. ანტონოვი, ა. რ. ფიშერი, ა. ნ. მილოვი და დ. ვ. მილოვი.

◆ რედაქციამ მიიღო „სასოფლო გაზეთის“ № 50, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: მეთაური, მელოგინეს მოვლა—ივ. გომართელისა, თეთრი ღვინის დაყენება—ქიმიკ. კ. მოდებაძისა, ცოტა რამ კოოპერაციის შესახებ—ა. ინწკირველისა, რძე და მისი გამოყენება—აგრ. რ. გ—შვილისა, საქონლის მოვლა-მოშენება—ძველი მეგობრისა, ქუთაისის საგუბერნიო სამეურნეო თათბირი, მებოსტნეობა—ა. შარაშიძისა, საკრ. და შემნახავ ამხანაგობათა საყურადღებოდ, თაფლის კვირა, წერილი რაჭიდან, კითხვა-პასუხი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ამიერ-კავკასიის მეხილეობის საზოგადოების** კრება დღეისთვის არის დანიშნული მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში.

◆ **საბლაღოჩინო კრება.** ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, მამადავითის სამრევლო სკოლის დარბაზში მოხდა ქალაქის პირველ და მეშვიდე საბლაღოჩინოს სამღვდელოების კრება, ბლაღოჩინის ნ. მაჭარაშვილის თავმჯდომარეობით. კრება შეეხო ორ საბლაღოჩინოს შეერთებას, რადგან პირველი საბლაღოჩინო, რომელსაც განაგებდა დეკ. ი. მირიანაშვილი და თავი დაანება, მცირე რიცხოვანია ეკლესიების შედგენილობით. ასე რომ საჭიროებას არ მოითხოვს ცალკე ბლაღოჩინის ყოლას. კრება დაეთანხმა ამ შეერთებას. შემდეგ აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ შეუძლიან თუ არა მღვდელს მხოლოდ ერთი პასპორტის ძალით ჯვარი დასწეროს ახლად ჯვარ დასაწერთ. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი მომხრე იყო პასპორტის სისტემისა, ზოგი არა. მღ. ი. გამრეკელმა მიუთითა კრებას საპასპორტო კანონის მე-10 ტომის ძალას, აგრეთვე ახლად გამოცემულ ბ-ნ ნეჩაევის სახელმძღვანელოს და აგრეთვე განსვენებულ მიტროპოლიტის ანტონის განკარგულებას მღვდელთ-მთავართა სახელზე, სადაც ნება ეძლევა სამღვდელოებას მარტო ერთი პასპორტის ძალით ჯვრის წერისა, მხოლოდ თუ საეჭვოდ მიაჩნია, მაშინ პიროვნების შემოწმებისათვის საკმარისია ნოტარიუსის, პოლიციის და კერძო პირთა მოწმობაც. კრება დაეთანხმა მის აზრს. დასასრულ კრებამ მომავალ სამღვდელოების საეპარქიო კრებაზე დასასწრებლად აირჩია დეპუტატები. დეპუტატებად არჩეულ იქმნენ: წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი დეკ. ს. შოშიაშვილი და სამების ეკლესიის წინამძღვარი მ. ვას. კარბელაშვილი.

◆ 30 ნოემბერს დანიშნულია კრება ქალაქის ქუჩებისთვის სახელების დამრქმევის კომისიისა. ამავ დღეს კრება ექნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს, შეისწავლოს მდგომარეობა და მოქმედება უძრავ ქონების ცეცხლისაგან დამზღვევ საქალაქო საზოგადოებისა.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება დანიშნულია 1 დეკემბრისთვის, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის შენობაში.

სასწავლებლებში

◆ **სატყეო სკოლა.** ტფ. პირველ საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელმა ზ. გ. არჯევანიძემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გახსნას საზაფხულო სკოლა სუსტი ბავშვებისათვის სად ჰაერზე, დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის მამულში, სოფელ წაღვერში. სკოლა ნემეცურ სკოლების ტიპისა იქნება და ერქმევა სატყეო სკოლა. სკოლის მიზანი: 1) ხელი შეუწყოს სუსტ ბავშვების გამოსალებას, 2) მომზადოს ბავშვები იმ საგნებში, რომელშიაც განმეორებითი გამოცდა აქვთ დანიშნული და 3) დაუახლოვოს ბავშვები ბუნებას. საშუალებანი: სადი საჭმელი, სუფთა გრილი ჰაერი ნაძვნარში, წესიერი ფიზიკური შრომა, წყალში ბანაობა, მოძრავი გასართობები, გიმნასტიკა, სიმღერა, ხატვა და სწავლება რუსულ ენისა, არითმეტიკისა, სამღვთო სჯულისა და ფრინველთა და ცხოველთა მოვლისა. სკოლასთან მუდმივ იქნებიან ექიმი და ფერშალი. სკოლაში პირველ ხანად მიიღებენ 6—12 წლის ბავშვებს.

სიღნაღი

◆ **მკვლელობა.** პოლიციის ცნობით, ვაჟრებმა გიორგი და გევლო პეტროსოვებმა სამოც თუმნად არამ მათევოზოვს ვაჭარი კარაპეტ ხაჩატუროვი მოაკვლევინეს.

ფოთი

◆ **ბ. ქებურიამ** კვირას, 24 ამ თვეს, იფრინა 22 წუთს. იფრინა ლამაზად, სხარტად, შნოიანად; გააკეთა შვიდი საკმაოდ დიდი წრე; ქალაქის შუაგულში დაფრინავდა. აურიცხველი ხალხი დაესწრო; ოვაცია გაუმართეს.

სოფლად.

◆ **ბოლდადი.** ამ დღეებში ერთს გლეხს ქვევრი მოუხდია და სირაჯებისათვის უჩვენებია ღვინო. ღვინის დაგემოვნების შემდეგ სამივე გარდაცვლილა. შემდეგ ქვევრში აღმოაჩინეს დამღრჩვალი გველები.

მეფის მოადგილის რეზოლიუცია პოლიტეხნიკუმის შესახებ

„მიუხედავად გენერალ-ლეიტენანტის გაბაშვილის წყევლა-კრულვისა, რაიცა მედება უმეტეს წილად მე, როგორც ისეთს ადამიანს, რომელიც საბოლოვოდ სწყვეტავს საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევის საკითხს, ვეთანხმები კომისიის უმრავლესობის აზრს, უმთავრესად ფინანსიურ მოსაზრებათა ძალით, და საპოლიტეხნიკუმო ადგილად ვამტკიცებ ნავთლუღს“.

რეზოლიუციის პირველი ნაწილი, რომელსაც პოლემიკური ხასიათი აქვს, უეჭველია, ბევრს გაუგებრობას გამოიწვევს. ამიტომ მოგვყავს ოფიციალური განმარტება ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ისა, რომელიც ასე ჰხსნის ამ საპოლემიკო ფრაზის წარმოშობას: „რეზოლიუციის პირველი ნაწილი გამოწვეულია იმით, რომ გენერალ-ლეიტენანტმა გაბაშვილმა თავის განსაკუთრებულ აზრში გამოსთქვა შემდეგი: „ნავთლუღის საერთო ცუდი პირობების გამო, მომავალი სტუდენტები, პროფესორები და მოსამსახურენი, ცხადია, წყევლა-კრულვით მოიხსენებენ იმ პირებს, რომლებმაც პოლიტეხნიკუმი ასეთს ადგილას ააშენეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლები

4.

ა. ჭუმბაძე

პატივცემულმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ ახალგაზდა მწერალი ჭუმბაძე სიმბოლისტად მონათლა; მე პირადად არ შემიძლია დავეთანხმო ასეთს მტკიცებას; სიმბოლიზმი მთელი მსოფლ-შეცნობაა, რომლის ჯადოსნურ ჭვრეტაში მსოფლიოს იდუმალი სახე ცნაურდება; სიმბოლიზმი ხელოვნებითი მეთოდია, რომლის საშუალებით ხელოვანი განსაკუთრებულს გულ-ნებასა ჰქმნის; მე მესმის სიმბოლიზმი საფრანგეთის სიმბოლისტთა (ბოდლერი, ვერლენი) განმარტებით და რუსეთის სიმბოლისტთა (ვიაჩესლავ ივანოვი, ანდრეი ბელი, ბრიუსოვი, ბლოკი, ბალმონტი, სოლოგუბი) განმტკიცებით; და თუ ამ მხრით ჭუმბაძის ნაწერებს განვიხილავთ, ჩვენ მათში ვერც სიმბოლიურ მსოფლ-შეცნობას ამოვაჩენთ და ვერც სიმბოლიურ წესს ხელოვანებისას; მართალია, იგიც მიმართავს ხოლმე სახე-იდეას, სიმბოლოს როგორც მგოსნურ ხატებას, მაგრამ ეს ამბავი ჯერ კიდევ არ ჰხდის მას სიმბოლისტად; მგოსნური ხატება რომ სიმბოლისტად ხდიდეს მგოსანს, მაშინ ყოველი მგოსანი სიმბოლისტი იქნებოდა; მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს ასე არ არის; და ჭუმბაძეც ჩემთვის ჯერ-ჯერობით სიმბოლისტი არ არის.

მაგრამ დავანებოთ თავი მის „სახელს“; მისი მხატვრული ნება-ყოფა ჯერ კიდევ „ძიებაშია“ და, მაშასადამე, მისი „მონათვლაც“ ჯერჯერობით ნაადრევია; ამ „ფოთოლით“ მე მსურს სხვა მხარე ავიღო ყურადსაღებად; ორი წლის წინად ფოთში სალიტერატურო საღამო გაიმართა; საღამოს ესწრებოდა ნეტარხსენებული მგოსანი აკაკი; ახალგაზდა მწერალთა შორის ჭუმბაძეც მონაწილეობდა; მან წაიკითხა პირველი თავი მოთხრობისა—„მთის სული“; კითხვის გათავების შემდგომ, აკაკიმ მითხრა ჩუმად: შესაძლოა მაგ გახდეს იმ მწერლად, რომელსაც შენ მოელიო; აკაკის სიტყვა გადამეტებულად მეჩვენა ფრიად, თუმცა მის მგოსნურს ალღოში ეჭვი არ შემეპარვია, და არც საკვირველია, თუ მხცოვანმა მგოსანმა გადააჭარბა: მართლაც მომჯადოებელი იყო ის ნაწყვეტი, რომელიც ჭუმბაძემ წაიკითხა; არც მანამდე და არც მის შემდგომ ჭუმბაძეს მისი ფასი არა დაუწერია-რა; ამაში გამოშალა მან თავისი მხატვრული „თვითება“,—და მეც ვეცდები ნათლად ვყო [illegible].

ჭუმბაძე ძლიერია იქ, სადაც სიტყვამ ხორცი უნდა შეისხას; სიტყვა მისი არ იქრება მარმარილოში და არც ბრინჯაოდ ისმის იგი; სიტყვა მისი სისხლიან სხეულს დაეძებს,—და ჭეშმარიტად „ხორციანია“ მისი მხატვრული სიტყვა; ხანდახან ეს „სიხორცე“ იმ ზომას აღწევს, რომ მასში მოქცეული სურნელებას იძლევა; და ჭუმბაძე—მხატვარი არ ზოგავს სამხატვრო ძალას სიტყვის ხორციელებისათვის; ნაირ-ნაირი ფერი, უთვალავი ყვავილი, ახალ-ახალი სახე,—ყველა ეს მის ხელქვეით არის და ჰქმნის იგი ნამდვილ „ჰუმორისტიულ“ ხატებას; ყოველი მისი ხაზმოსმა აყვავილებულია, ყოველი მისი სახე აფერადებული,—და ჭეშმარიტად მისი სიტყვა თვალ-მომჭრელ ლანდშაფტად იშლება; ასეთია ჭუმბაძე—ხელოვანი, რომელსაც ამ მხრით ჩვენს უახლოესს პოეზიაში ვერც ერთი მწერალი ვერ შეედრება.

სადაც ხელოვანი გამარჯვებას დღესასწაულობს, იქ მას უთუოდ საფრთხეც უცდის უჩინარი; და ჭუმბაძე ხელოვანიც გამარჯვების ბოლოს საფრთხეს ეჩეხება ყოველთვის; სიტყვის „ხორციანობით“ გატაცებული იგი თავს ვერ იკავებს და სამხატვრო ზომას სცდება ხშირად; იგი ვერ ურიგდება სახელოვანი ჰუმორისტის დავით კლდიაშვილის სიტყვას: ხელოვანმა ზოგჯერ თავისი ხატება კიდეც უნდა იმსხვერპლოსო; ჭუმბაძე წინააღმდეგ მოქმედობს: იგი აგროვებს მრავალს ხატებას, არ ჰკარგავს არც ერთს სახეს, და იქ, სადაც ერთი ძლიერი ხაზმოსმაა საკმაო, ურიცხვ ფერებით აყვავილებს სურათს; აქ იგი ქარბია ძალზე და სწორედ იმ ქალს მაგონებს ამ მხრით, რომელიც თავის მდიდრულ ტანსაცმელს ყველა თავის ძვირფას სამკაულით აჭრელებს ხოლმე; თავისთავად სიმდიდრე კარგი რამაა, მაგრამ მის „ჭრელი გამომზეურება“ ესთეტიურ გემოვნებას ჰლახავს.

ეს საფრთხე სხვაგანაც უცდის ჭუმბაძეს; ხელოვნების ქმნილებას პათოსი აცხოველებს: აღფრთოვანების ალი მხატვრულს სიტყვაში არ ჰქრება, იგი მასში ნელდება მხოლოდ; მაგრამ საჭიროა უთუოდ, რომ ეს ალი ნამდვილი ცეცხლისაგან იყოს ნაშობი: თორემ ისე პათოსი ცივი გამოვა და მშრალი; პათოსი ღვთიურობის მასწავებელია და ბევრს ხელოვანს მოსვლია იქ მარცხი; ჭუმბაძის სიტყვაში პათოსის ნამდვილს შობას ზემოხსენებული საფრთხე უდგება წინ; პათოსი ერთსა და იმავე დროს უბრალოც უნდა იყოს და ღრმაც; ჭუმბაძე კი პათოსის მჟღავნების ჟამს უთუოდ მიტროპოლიტის საცმელით იმოსება და მით ჰკლავს მის უსაშველო უბრალოებას.

მაგრამ ყოველივე აქ ნათქვამი მეორე რიგის ფორმას ეკუთვნის; პირველი რიგის ფორმა მხატვრულს ქმნილებაში, როგორც ეს უწინ მქონდა განვითარებული, ფაბულაა უთუოდ; ამ მხრით ჭუმბაძე სუსტია მეტად: რამდენად ძლიერია იგი მეორე რიგის ფორმაში, იმდენად უძლურია იგი ფაბულის განვითარებაში; ბ-ნმა კიტა აბაშიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ჭუმბაძემ თავისი მშვენიერი მოთხრობა „უფსკრული“ ბოლოში [illegible] გააფუჭა; ჩემის ფიქრით, არც ის მშვენიერი თემაა სავსებით გახსნილი ფაბულის მხრით, რომელიც ჭუმბაძემ „გრდემლის“ მეორე წიგნში გადაგვიშალა. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი უნდა იყოს: ალბათ მხატვრის სულში არ მომწიფებულა სრულად ფაბულის ჩანასახი, თორემ ხანგრძლივ ნაჭირნახულევი იგი უთუოდ მწიფე ნაყოფს გამოიღებდა.

ჭუმბაძე საგრძნობელი ძალაა ქართულს უახლეს ლიტერატურაში და ხელოვნების მოყვარულისათვის ამ ძალის სწორი გზით განვითარება სასურველია უთუოდ; ჩემი „ფოთოლი“ მხოლოდ მეგობრული რჩევაა: ჭუმბაძე უნდა ეცადოს საფრთხის აცდენას იქ, სადაც იგი მეტად ძლიერია და ფაბულის მომწიფებას იქ, სადაც იგი საგრძნობლად მოისუსტებს.

გრ. რობაქიძე.

P. S. შემდეგს „ფოთოლში“—აბაშელი. გ. რ.

მუშათა ცხოვრება

საავადმყოფო კასა.

პეტერბურგში, პუტილოვის ქარხანაში მუშათა საავადმყოფო კასის მოწყობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. უკვე ამოირჩიეს გამგეობის წევრნი, რომელთა უმრავლესობასაც მუშები შეადგენენ. კასა ცოტა ხანში გაიხსნება.

კონდუქტორთა უკმაყოფილება.

ქალაქის სტრამვაიო საქმეთა გამგეობამ გამოსცა კონდუქტორთათვის ახალი წესები, რამაც ტრამვაის მოსამსახურეთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. კონდუქტორები აპირებენ აირჩიონ დეპუტაცია, რომელიც იშუამდგომლებს გამგეობის წინაშე მოძრავ ვაგონთა და მოსამსახურეთა შემატებისთვის.

სომეხთა ცხოვრება

◆ ბოლოს დროს ქ. ლუგანსკში გარდაცვალებულმა სარგის ფაფაზიანმა 100,000 მანეთი შესწირა ეროვნულ-კულტურულ მიზნებისათვის.

◆ სომხის ცნობილ მწერლის და დრამატურგის შირვანზადეს და სომხურ გაზ. „ჰორიზონის“ შორის ასტყდა დიდი კამათი იმის გამო, რომ შირვანზადემ მიატოვა „ჰორიზონი“ და თანამშრომლობს გაზ. „მშაკში“.

სათათრეთის სოფლები

ძნელი წარმოსადგენია ის უმწეო მდგომარეობა, რომელსაც განიცდის დღეს სათათრეთის სოფლები. პირველად მივედი თათრების ჯულფაში, რომელიც რუსის ჯულფიდან ოთხი ვერსით არის დაშორებული, შესვლისთანავე დაგხვდებათ ბაზარი, სადაც ყოველგვარი საქონელი უაქციზოდ იყიდება, ჩაი, მაგალითად, რომელიც ჩვენში 2 მან. ღირს იქ გირვანქა 50 კაპ. აგრეთვე თამბაქო და სხვ. სათათრეთში ხმარებაშია „ხანის არშინი“, რომელიც ჩვენებურ არშინზე 10 გოჯით მეტია.—დუქნები და სახლები სულ ალიზისაა. ირგვლივ უსუფთაობა, არავითარი სანიტარული წესი არ არსებობს და ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა. ბაზრიდან გახვალთ ჯულფის განაპირას. აქ ხომ ადამიანს არ ედგომილება. დავიარეთ სოფლები ალანდარე, სუნჯი და კიბლახი, ყველგან ერთი და იგივე სურათი. ქუჩაში შეხვდებით ქალებს, რომელნიც თავიდან ბოლომდის დაგლეჯილ ჩადრში გამოხვეული არიან. აქაიქ წუმპეებში ჭუჭმალაობენ ბავშვები და უცხო ადამიანის დანახვაზე შიშველ-ტიტველნი ნადირივით დრიალით მირბიან სახლებისკენ. სახლები ხომ ყველას მიწური აქვს და ყოველგვარი სიბინძურეს ნახავთ შიგ. მთელი სოფელი რომ შემოიაროთ, ვერ ნახავთ ვერც დიდს და ვერც პატარას ჯანსაღს. ძალიან გავრცელებულია აქ ათასგვარი გადამდები სენი. თვალის ტკივილი ხომ აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. (გავრცელებული ტრახომა). ჩემს კითხვაზე ჩემმა მასპინძელმა მითხრა: „სადა გვყავს, ბატონო, ექიმები, ჩვენი ექიმები სოფლის მოლებია, რომელნიც უწყლოდ გვაძრობენ ტყავს და არასა გვშველიანო“ როცა გაიგეს, რომ მე „მკურნალი“ (აქ გარჩევა არა აქვთ ექიმი და მისი თანაშემწესი) ვარ, დიდი მოწიწებით მექცეოდნენ და განუწყვეტლივ მოჰყავდათ ავადმყოფები. მათ სოფლებში არ არსებობს არავითარი სკოლა, რადგანაც მოლები და სუნიტები უშლიან თურმე, და აგონებენ, რომ „სწავლას გარყვნილება მოსდევსო“. როდესაც თურმე, რომელიმე მოლა ან სუნიტი მიდის სალოცავად სადმე, უსათუოდ სოფლის ყველა მცხოვრებელმა უნდა მიართვან ფული. თუ რომელიმე გლეხი ვერ მოუტანს, დიდი უბედურება დაატყდება თავზე. მაგალითად, რომელიმე გლეხს ჰყავს სამი ცხვარი, ერთი ცხვარი ეკუთვნის მოლას და სუნიტს. ვთქვათ, რომელიმე გლეხმა შეიძინა ხუთი ძროხა, მათში ერთი, რომელიც მოლას და სუნიტს ჰსურს, მისი საკუთრება ხდება. ზაფხულობით სათათრეთიდან დიდი ძალი მუშა მოაწყდება ხოლმე ბორჩალოს და ზაქათალის მხარეს სამუშაოდ. როცა ეს მუშები უკან ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში, იწყება მათი ცარცვა და გლეჯა, რაც ფული აქვს ნაშოვნი ეკუთვნის ხანს და მოლა-სუნიტებს. გლეხები სცდილობენ როგორმე გადაარჩინონ თავისი ნაშრომი (ხშირად მიწაში ჩაფლამენ ხოლმე შესანახად) მაგრამ ამ საქმისთვის არიან „ჯაშუშები“, რომელნიც დაძრწიან სოფლად და ლაპარაკში გამოსტეხენ. რა თქმა უნდა, მაშინათვე იგებს ვინმე მოლა-სუნიტი და ბრძანებას გასცემს: „იმ საათში აქ მოიტანოს, მაგან შელახა ჩვენი რჯული და კანონიო“. ერთმა თათრის ბეგმა (თავადია) მიმიპატიჟა სადილათ.—ღმერთო ჩემო, შესვლისთანავე ფეხები უკან დამრჩა, რადგან წინად ნახული სიღარიბე და უმწეო მდგომარეობა, ნადირივით მშიშარა ხალხი თვალ-წინ წამომიდგა. აქ კი ასეთი სიმდიდრე.—მთელი ოთახები ჭერიდან—იატაკამდის დაფენილი იყო ძვირფასი ხალიჩებით, ფანჯრებზე ხავერდები ჰქონდა ჩამოფარებული, სუფრა გაშალეს და ჩემს თვალს არ უჯერებდი—თეფშების გარდა სულ ვერცხლისა იყო, მოიტანეს ათასგვარი სასმელები და ევროპული სადილი და მერე თათრული საჭმელები.—მასპინძელს ლაპარაკი ჩამოუგდე (რუსულ-თათრულად ვლაპარაკებოდი, რადგან იმდენი თათრული მეც ვიცი, რამდენიც იმან რუსული) სოფლების სიბინძურეზე, სიღატაკეზე, უსკოლობაზე და სხ. ვუსაყვედურე, რომ თათრების ბეგები და მოლები უნდა ცდილობდნენ განათლება შეიტანონ თავიანთ ხალხში რადგან თითქმის ყველამ გაუსწრო მათ და სხ. მიპასუხა: „ყმაწვილო! თქვენ რომ ჩვენი მდგომარეობა იცოდეთ, მაშინ ეგრე არ იტყოდით. როგორ შეგვიძლიან მოლებისა და სუნიტების წინააღმდეგობა, მაშინათვე რჯულის მოღალატედ გვაღვიარებენო“ ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ მოპატიჟებული მოლა შემოვიდა. დიდი მისალმების შემდეგ დაჯდა ჩვენთან და დავიწყეთ ლაპარაკი, რუსული ვერ ეხერხებოდა. ჩემი მასპინძელი უთარგმნიდა ჩემს ნალაპარაკევს. მოვახსენე, რომ იგი როგორც მოლა და მამა თავისი სამწყსოსი უნდა ეცადოს, რომ ხალხი განათლებაში შეიყვანოს, გახსნას სკოლები, მოუწოდოს თათრებს, ინტელიგენციას დახმარება გაუწიოს და ერთი ძალით დაიხსნას მომავალი თაობა სიბნელის მორევიდან. მოლამ მოკლედ მიპასუხა: „თქვენი კანონი სხვა არის, ჩვენი სხვა, ჩვენ ყორანი ნებას არ გვაძლევს, რადგან სწავლა-განათლებას ხალხის გარყვნილება მოსდევსო“ მაშინ მიუთითე ყურანზე, რომ იგი სცდება, რადგან ყურანში მაჰმედი ამბობს „ეძიეთ სწავლა და განდაც ჩინეთის იქით მოგიხდეთ წასვლა, მაინც იპოვეთო“. ჩინეთი მაშინ დაკარგულ ქვეყნად მიაჩნდათ, რადგანაც გზას სათათრეთიდან აქლემებით ხუთ-ექვსი თვე უნდა უნდებოდნენ. ბოლოს რაც მახსოვდა წაკითხული ყურანიდან სულ ერთიანად უთხარი. გაკვირვებული მიყურებდა, ალბად ჯავრიც მოსდიოდა და გაჩუმდა. ბოლოს გამოტყდა და მითხრა „ჩვენ ეგ სიტყვები სხვანაირად გვესმოდაო“. გამოვეთხოვე ამ ფანატიკოსებს და გზაში მალ-მალ ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნუ თუ ეს არის ის „ირანის“ ქვეყანა, რომელიც თავზარ სცემდა საქართველოს და სხვა სახელმწიფოებს, ნუ თუ ამ ხალხს შეეძლო ბრძოლა? დღეს კი ასეთ ტანჯვაში იმყოფება სათათრეთის გლეხობა.

გლეხი ვანო.

პედაგოგიური პასუხი თუ თავის ნაწარმოების რეკლამა?!

(პასუხად ბ.ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს)

(შემდეგი *)

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სახელმძღვანელო ქართველებისათვის არ ვარგა, იგი გამარუსებელ ტენდენციას ხელს უწყობსო. ამ სიტყვებსა და „ლანძღვა-გინებას“ შორის, რომელსაც ეგრე დაჟინებით იმეორებენ ბ.ბ. პედაგოგები—ვგონებთ, დიდი მანძილია. განა ჩვენი ბრალია, თუ ბ. ბ. ზედგინიძესა და ჯაფარიძეს ასეთი სახელმძღვანელო გამოუვიდათ? ჩვენ ვუსაყვედურეთ ბ. ბ. ჯაფარიძესა და ზედგინიძეს; ტყუილად დაუხარჯავთ მათ ამოდენა შრომა და ენერგია, რადგან შედეგი უკუღმართი გამოსულა, მათი სახელმძღვანელო ჩვენთვის უკუღმართ საწადელს აღწევს.

სრულებით არაფერ შუაშია აგრეთვე განსვენებული ი. გოგებაშვილი და მისი სახელმძღვანელოები. ბიბლიოგრაფიის წერის დროს არც გაგვხსენებია განსვენებული. მისი სახელმძღვანელოები არა გვქონდა ხელში, თორემ შესაფერ შედარებას მოვახდენდით, პარალელს გავატარებდით ი. გოგებაშვილისა და ჯაფარიძე-ზედგინიძის სახელმძღვანელოთა შორის. ჩვენი საქმე არ არის ამ შემთხვევაში, ვიძიოთ, როგორ მოქმედებდა განსვენებული ი. გოგებაშვილი და რა გზას ადგა იგი. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენ საკუთარ გარკვეულ გზას ვადგევართ და არავის ხელმძღვანელობა არა გვჭირია ამ შემთხვევაში. მაგრამ თუნდაც ეგრე იყოს როგორც ბ.ბ პედაგოგები ბრძანებენ: „ზოგიერთებიც ამ გზას ადგანან“. აქ არაფერია სათაკილო, თუ ეს გზა სწორია და სიმართლისაკენ წამყვანი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გამოვუდგებით კამათს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების სიავკარგის შესახებ, რაც არც ბიბლიოგრაფიაში გვქონდა მოხსენებული. ვფიქრობთ, რომ ბ. ბ. ჯაფარიძეს და ზედგინიძეს ეგოდენი შეგნება უნდა ჰქონოდათ, რომ მხცოვან მოღვაწის ცივ სამარეში მდებარე ძვლებისადმი პატივისცემა გამოეჩინათ და არ შეუწუხებიათ, თუნდაც იმიტომ, რომ „ad mortuis aut nihil, aut bene“. და თუ მათ იმოდენი კეთილშობილობა ვერ გამოიჩინეს, საკადრისი პასუხიც მიიღეს.

„ეროვნული სკოლის შექმნა დღეს დღეობით შეუძლებელი ხდება ჩვენთვის, ხოლო ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სრულიად დავკარგოთ იმედი ოდესმე მაინც ამ სურვილის განხორციელებისა, ან „**არ შევეცადოთ მეტი უფლება მოვიპოვოთ დედა-ენას დღევანდელ სასწავლებელში**“); ან კიდევ—სრულიად ჩამოვშორდეთ არსებულ სკოლებს და **არ გავაკეთოთ ის, რაც ეხლანდელ პირობებშიდაც შეიძლება!****)

ასე ამბობენ ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე. საუცხოვო სიტყვებია! მაგრამ, სამწუხარო ის არის, რომ ბ. ბ. „პედაგოგების“ სიტყვებსა და საქმის შორის დიდი მანძილია. ნუ თუ რუსული გაკვეთილების მიცემით შეიძლება „დედა-ენას დღევანდელ სასწავლებლებში შესაფერი უფლება მოვუპოვოთო“? ნუ თუ მუნჯური მეთოდით შეიძლება „გაკეთება მისი, რაც შესაძლოა“. კარგი „დაცვა“ და „გაკეთებაა“ თქვენმა მზემ! დიდად „დაგვავალებთ“ ასეთი „დაცვით“ და „საქმის გაკეთებით“. არამც თუ ბ. ბ. „პედაგოგების“ სიტყვა — საქმეშია განსხვავება, არამედ სიტყვებშიაც. იქვე, სადაც ისინი ამბობენ, რომ შეიძლება დედა-ენის დაცვაო, შემდეგ ცინიკურის გულ-ახდილობით ამჟღავნებენ თვის სულის კვეთებას!

„რუსულ ენას და სიტყვიერებას“, ბრძანებენ ბ. ბ. „პედაგოგები, პირველი ადგილი აქვს დათმობილი სასწავლებლებში. რუსული ენა დღევანდელ სკოლაში არის ის ღერძი, რომელსაც გარს დატრიალებს ყველა დანარჩენი საგანი. სასკოლო მთავრობის მთელი ყურადღებაც ამ საგნისკენ არის მიქცეული. მთავრობა, უეჭველია, ხელმძღვანელობს სხვა და სხვა მოსაზრებით (შეიძლება ზედგინიძემ და ჯაფარიძემ იცოდეს—რა მოსაზრებით), რომელსაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ (ვეჭვობთ!) მიუხედავად ამისა, ეს ენა ჩვენ ყურადღებასაც უნდა იპყრობდეს, ერთის მხრივ იმიტომ, რომ რუსული ენა დღევანდელ პირობებში არა ნაკლებ დედა-ენისა საჭიროა ჩვენთვის; მეორე მხრივ—ამ ენაზე ისწავლება სკოლებში ყველა სხვა საგანი; და კიდევ იმიტომ, რომ სწორედ ამ გზით, ენის შემწეობით, მთავრობა აწარმოებს თავის სასკოლო პოლიტიკას“.

საუცხოვოა! ჩინებულია! არ დაივიწყო, მკითხველო, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველ პედაგოგებს! ეს სიტყვები საკმაო ბრალდებაა ბ. ბ. ზედგინიძისა და ჯაფარიძის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უკანასკნელი ფრაზა: „**რუსული ენა ჩვენ ყურადღებას უნდა იპყრობდეს... იმიტომ, რომ სწორედ ამ გზით, ენის შემწეობით მთავრობა აწარმოებს თავის სასკოლო პოლიტიკას**“; რას ნიშნავს უკანასკნელი ფრაზა? სასკოლო პოლიტიკა მთავრობისა, თუ ჩვეულებრივ ტერმინოლოგიას ვიხმარებთ, ნიშნავს გარუსების პოლიტიკას. რა კავშირი აქვს ამ გამარუსებელ პოლიტიკას თვით რუსულ ენის შესწავლის საჭიროებასთან, ვერ გაგვიგია. ადვილად შესაძლებელია ავტორებს ამით ჰსურდეთ ეთქვათ, რომ პედაგოგები ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ამ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა აწარმოებს და თავიანთი მოქმედება ამ პოლიტიკას შეუფარდონ, თუნდაც იმიტომ, რომ ვითომც შესასუსტონ ამ პოლიტიკის ზედგავლენა. თუ ავტორები ასე ფიქრობენ, შეგვიძლიან მივულოცოთ: მათი სახელმძღვანელო, მართალიც, ამის საუკეთესო დამადასტურებელი საბუთია. იგი „შეფარდებულია“, მშვენივრად არის „შეფარდებული“.

„ჩემი შენ გეთაყვა, გული მოგიკალიო“! ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე თავის [illegible] მწერენ: „რად გაგეპარათ სირცხვილი, როდესაც ამდენს სწერდით ბ-ნო კორდელი?!!“ „მაგარ მზრუნველობით თქვენ სულ დაღუპავთ სკოლას და, თუ გვკითხავთ, ქვეყანას რომ პატრონი ჰყავდეს, სწორედ თქვენგან და თქვენისთანებისაგან უფრო დაცულ იქნეს **ჩვენი სკოლა** არა ნაკლებ ვოსტორგოვისაგან“..

ზოგიერთების თვისებაა და თავის შინაარს სხვას აწერენ. ბ.ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს საკმაოდ განვითარებული ჰქონიათ ეს თვისება, თორემ სხვა—სინიდისის მქონე, თავის მართლებასაც კი არ დაიწყებდა და გულახდილად აღიარებდა თავის შეცდომას. მაგრამ განვაგრძოთ შემდეგ—ვკითხოთ ბ. ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს, რომელი „**ჩვენი სკოლა უნდა იყოს დაცული**“ ჩემგან და ჩემისთანებისაგან? ქართული, სომხური, თათრული და სხვა ყველა არსებულ ეროვნებათა? მათ ხომ სახელმძღვანელო ყველა „ინოროდცებისათვის“ აქვთ შედგენილი? (ამ სიტყვაში „ინოროდცე“ იგულისხმება, რომ თვით შემდგენელნი ამ ეროვნებებს ეკუთვნიან, რომლის ენაზედაც სახელმძღვანელოა შედგენილი). პასუხი საჭირო არ არის. თვით [illegible] გასცემენ პასუხს.

გადავიდეთ მათ სახელმძღვანელოს არსებითად განხილვაზე; თუმცა ბ. ბ. ზედგინიძემ და ჯაფარიძემ მისაყვედურეს, თითქოს ჩვენ ორის კალმის მოსმით გაგვეხილოს სახელმძღვანელო, მაგრამ შეუძლებელია ყოველი მოთხრობის შინაარსი მოვყვეთ, როგორც ეს ბ. ბ. ზედგინიძემ და ჯაფარიძემ ქნეს. დავსახელებთ მხოლოდ მაგალითებს.

კორდელი.

(შემდეგი იქნება)

პეტერბურგის ნაფიც ვექილთა საქმე

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, სამართალში მისცეს ბეილისის საქმის გამო გამოტანილ რეზოლუციისთვის პეტერბურგის ოლქის 83 ნაფიცი ვექილი.

ნაფიცნი ვექილნი მიცემულნი არიან სამართალში მე-229 მუხლის ძალით ამ მუხლით ისჯება ისეთ თხზულებათა დაწერა და გავრცელება, რომელიც შეურაცხყოფელია „სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებათა და პირთა“. საგანგებო საქმეთა გამომძიებელის სიტყვით, ვექილების დანაშაულობა ამ მუხლის მიხედვით აშკარაა. ვექილთა რეზოლუციაში ნათქვამია: „სასამართლოს დაკისრეს მასთვის შეუფერებელ მოვალეობა“. გამომძიებლის აზრით ამ სიტყვებში შეურაცხყოფაა იუსტიციის მინისტრისა და კიევის სასამართლო პალატისა. კიევის პალატამ დაამტკიცა ბეილისის საბრალდებლო ოქმი და ამ საქმეშივე ერია იუსტიციის მინისტრიც შჩეგლოვიტოვი. შჩეგლოვიტოვი უმაღლესი პირია სახელმწიფოში და სასამართლო პალატა კი უმაღლესი დაწესებულებაა. ასე მსჯელობენ ისინი, ვინც სამართალში მისცა პეტერბურგის ოლქის ვექილნი.

23 ნოემბერს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა სერიდან ჩვენება ჩამოართვა სამ ბრალდებულს.

სხვა ვექილთა შორის ამ საქმისთვის სამართალში მიცემულია სათათბიროს წევრი შრომის ჯგუფის ბელადი კერენსკი. დაინტერესებულნი იტყობინებიან, რომ გამომძიებელ სერგიას დაუდგენია, იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, კერენსკის სათათბიროს წევრობიდან გადაყენება, რადგანაც იგი სამართალში მიცემული იმ მუხლის ძალით, რომელიც უფლებათა შეზღუდვას ემუქრება.

უცხოეთი

პოლიტიკური ბრძოლა ბულგარეთში.

„ტანის“ სოფიის კორესპონდენტი იტყობინება, რომ დემოკრატების ლიდერმა მალინოვმა 18 ნოემბერს სოფიაში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც შეეხო პოლიტიკურ მდგომარეობას. მან განაცხადა, რომ ხმები, ვითომც ავსტრია წინადადებას აძლევს ბულგარეთის დემოკრატიულ მთავრობას გაჰყონ სერბია და ვითომც რუსეთს 1908 წელს ბულგარეთისათვის დაეშალოს ოსმალეთთან ომის დაწყება, სიმართლეს მოკლებულია. დანევის გადადგომის შემდეგ, მალინოვს არ შეუდგენია საკოალიციო კაბინეთი ყველა პარტიის წარმომადგენლისა, რადგან ლიბერალებს გარდა, არავის არა ჰსურდა დასთანხმებულიყო, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი გენადიევისათვის გადაეცათ. ამის მიზეზი იყო გენადიევის პოლიტიკა, რათა მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოეგდო. მალინოვი ჰკიცხავდა აგრეთვე მთავრობას იმისათვის, რომ მან აქამდე ვერ მოაწყო დიპლომატიური დამოკიდებულება საბერძნეთსა და სერბიასთან. „თუ ამ დამოკიდებულებათა აღდგენის გადადება, გამოწვეულია ბუქარესტის ხელშეკრულების გადასინჯვის იმედით, რატომ მაშინ აღადგინეთ დიპლომატიური დამოკიდებულება რუმინეთთანაო“—განაცხადა მალინოვმა.

გაფიცვის საწინააღმდეგო კანონი გერმანიაში.

„ნიუ ფრიი პრესის“ კორესპონდენტი იტყობინებს, რომ გერმანიის რეიხსტაგის მემარჯვენე პარტიები უახლოეს ხანებში ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ, რათა გაატარონ კანონები სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით ეხლა გარკვეული სახე მიიღო. კონსერვატორებმა წინადადება შეიტანეს, [illegible] სასჯელებისა, რომელთაც შეფარდებით შესაძლო იქნება შეზღუდვა სოციალ-დემოკრატების აგიტაციისა მუშებში გაფიცვის დროს. კონსერვატორები ისეთ კანონს მოითხოვენ, რომელნიც მაგარ კანონიერ დაცვის თავდები იქნება ყველასათვის, ვინც კი მუშაობის გაგრძელებას მოისურვებს. ეს კანონები, როგორც კონსერვატორები ამბობენ,—მოსპობს იმ ტერორს, რომელსაც იჩენენ სინდიკატის მუშები სხვა მუშებისადმი, რომელსაც გაფიცვის დროს მუშაობა გაგრძელება მოსურვებიათ. ეხლა მუშათა ორგანიზაციები გაფიცვების დროს თავის დადგენილებებს უკარნახებენ გერმანიის ყველა მუშას, რადგან ამ ნაკარნახევის დაუმორჩილებელთ დიდი ბოიკოტი ელის ხოლმე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხვალ, 30 ნოემბერს, ქართულ თეატრში გაიმართება სიმფონიური **კონცერტი**. გაძლიერებული ორკესტრი „ახალი კლუბის“ შეასრულებს ამ ზაფხულს გარდაცვალებულის ახალგაზდა კომპოზიტორის ა. ა. [illegible] სიმფონიურ თხზულებებს, სხვა და სხვა ნაწყვეტს. სხვათა შორის, შესრულებული იქნება ნაწყვეტი ოპერა „ბელა“-დან (ლერმონტოვის მოთხრობა), რომელიც აღმოსავლურ კოლორიტით დაწერილი, კონცერტში მონაწილეობენ მომღერალი ქალი კოლოტოვისა, ტენორი გოგილაძე და სხვა. შემოსავალი გადადებულია გარდაცვლილი კომპოზიტორის თხზულებათა გამოსაცემად და, იმედია, საზოგადოება ხელს შეუწყობს თანაგრძნობით და დასწრებით.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 1054.

**) კურსივი ყველგან ჩვენია.

ქიათურა. შაბათს, 30 ნოემბერს, ქიათურის დრამატიული დასი წარმოადგენს ენგელის პიესას „ზღვასთან“, ვ. შალიკაშვილის თარგმანს. კვირას, 1 დეკემბერს, წარმოდგენილ იქნება ნ. შიუკაშვილის „გამხმარი ფოთოლი“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

28 ნოემბერი.

უცხოეთი.

ბერლინი. რეიხსტაგში იმპერიის კანცლერის შემდეგ ილაპარაკა ცენტრას ბელადმა შპანმა. მან დაადასტურა კანცლერის სიტყვა, რომ კანცლერის დანიშვნა ან გადაყენება შეუძლიან მხოლოდ იმპერატორსო. ხარჯთ-აღრიცხვას კანცლერსა კი არ დავუმტკიცებთ, არამედ სახელმწიფოს, გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა ფრიად სასურველიაო. გერმანიის შინაური მდგომარეობა გაურკვეველ სურათს წარმოადგენსო. ილაპარაკა ნაციონალისტ-ლიბერალთა ბელადმა ბესარმანმა. მან საჭიროდ დაინახა რუსეთთან მეგობრულ კავშირის განმტკიცება.

ლვოვი. სეიმის კომისიამ საარჩევნო რეფორმის პროექტის 66 მუხლი განიხილა.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაცია. გრაფ ანდრაშიმ სთქვა: გერმანიას ოდნავადაც არ უღალატნია ავსტრია-ჰუნგრეთისათვის. მოლაპარაკე სამთა კავშირის მომხრეა, რადგანაც ავსტრია-ჰუნგრეთი დიდი ხანია მოსპობილი იქნებოდა, თუ კი გერმანელი ძლეულნი იქნებოდნენ. მაგრამ, სამთა კავშირში ჩვენ ერთგვარი დამოუკიდებლობა უნდა გვქონდესო.

ლონდონი. ტრედ-უნიონისტთა დელეგატების კონგრესზე განიხილეს ლარკინის წინადადება საყოველთაო გაფიცვის თაობაზე დუბლინის გაფიცულთა თანაგრძნობის აღსანიშნავად. კონგრესის უმრავლესობამ ლარკინის წინადადება უარჰყო.

გაზეთების სიტყვით, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი, რომელნიც ხმელეთის ჯარში მსახურობენ, ჰშიშობენ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის დროს ისინი არ ამუშავონ იძულებით, როგორც ჯარისკაცნი. ბევრი სამსახურიდან გადის.

რომი. პალატა განაგრძობს მეფის საპასუხო ადრესის განხილვას. სოციალისტი მარკეზო ამტკიცებს, რომ პალატამ უნდა დაჰგმოს მთავრობის მოქმედებაო.

ლონდონი. სუფრაჟისტი ქალი პანჰერსტი მიტინგზე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დააპატიმრეს.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციის სხდომა. ოპოზიციის წევრი კოროლი ბერტჰოლდის პოლიტიკის წინაღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებს. ავსტრია-ჰუნგრეთი სამთა კავშირში უმნიშვნელო როლს თამაშობსო. გერმანია ბუქარესტის ხელშეკრულების საკითხში ჩვენ სათანადო ანგარიშს არ გვიწევდა. რუმინია არაფრად გვაგდებს. დეპუტატი შრეზვიცი ამტკიცებს, ბალკანეთის სახელმწიფოთა საიდუმლო ხელშეკრულების დადება რუსეთის თანხმობით მოხდაო.

მოლაპარაკეებს მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფ ტისამ პასუხი გასცა.

ლვოვი. საარჩევნო რეფორმის კომისიამ ვერც ერთი სადაო საკითხი ვერ გადასწყვიტა. უკრაინელთა კლუბმა უკრაინელ დეპუტატებს დაავალა ვენის პარლამენტში ობსტრუქციის მოხდენით ხელი შეუშალონ საფინანსო რეფორმის გაყვანას.

სოფია. არჩევნების შემდეგ არჩევნებში გავიდა 25 წევრი მთავრობის პარტიისა, 47 სასოფლო-სამეურნეო პარტიისა, 37 სოციალისტი, 14 დემოკრატი, 5 ნაციონალისტი და ერთი პროგრესისტი.

რუსეთი.

მინსკი. ქსენძმა მილოშევსკიმ და მემამულე ლენსკიმ განასაჩივრეს გამომძიებლის დადგენილება მათ დაპატიმრების თაობაზე.

ვიბორგი. გაზეთ „ვიბორგს-ნიგიტერის“ რედაქტორებმა—ტოლეტმა ოტოლენიმ და პროკოპემ უარი სთქვეს თავის ნებით ქალაქიდან გასვლაზე. ამის გამო ციხე-სიმაგრის უფროსმა ვიბორგიდან რედაქტორები პოლიციით გააძევა.

პეტერბურგი. 2 დეკემბერს იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყებს მუშაობას მომრიგებელ მოსამართლეთა წარმომადგენლების კრება. კრებას მიზნად აქვს ადგილობრივ სასამართლოთა შეცვლის კანონ-პროექტისათვის საჭირო მასალა მიაწოდოს.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა ქალთა სპროფესიო სასწავლებლების დებულებათა რეფორმის პროექტი.

ხარკოვი. სამხრეთ-რუსეთის სამთამადნო მრეწველთა კრების სხდომები დაიწყო.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) სპირიდონ მათეს ძემ კვირველიამ — საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი (ხელნაწერი).

2) იასონ ციციშვილმა—სხვადასხვა ჯურის ძვირფასი ქვა.

3) ანტონ ფალავანდიშვილმა—პატარა ზარი.

4) გიორგი გაბრიელის ძემ კაპანაძემ (მცხეთიდან)—ჯაჭვის ეკლესიის მიდამოებში ნაპოვნი ორი შავი ფული (ძველებური).

5) ალექსანდრე გველესიანმა: ა) ალბომი მხატვრის რომან გველესიანისა, ბ) რომან გველესიანისავე სამი ფერადითა და ერთი ნახშირით ნახატი სურათი და გ) სამი პატარა კერპი ბრინჯაოსი.

6) ოლღა დავითის ასულმა, თავად ჩიჯავაძის მეუღლემ: ა) ფერადი ძაფებით ნაკერი ძველებური ახალუხი, ბ) ძველებური ნაქსოვი სადავე, გ) ორი ბიზანტიური ვერცხლის ფული და დ) დაუჯდომელი ხუცური ხელნაწერი მე-XVIII საუკუნისა.

7) სოფიო ნიკოლოზის ასულმა, თავად მიქელაძის მეუღლემ: ცხენის საშუბლე, ვერცხლისა, აყიყის თვლებით შემკული.

8) ელენე იულონის ასულმა, თავად წულუკიძის მეუღლემ: ა) ვახტანგ მეფის სამართალი (ხელნაწერი) და ბ) ათიოდე ფოტოგრაფიული სურათი (ტიპები).

9) ელენე დათეშიძისამ—აკლდამაში ნაპოვნი ოქროს პატარა ჯვარი.

10) რაჟდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ—შუბის პირი რკინისა.

11) კონსტანტინე დავითის ძემ მაღალაშვილმა—თავისი სურათი, რომან გველესიანის ნახატი 22 ღვინობისთვეს, 1885 წ.

12) ლევან ივანეს ძემ ყიფიანმა—სოლომონ მეფის თოფი წარწერიანი.

13) მიხეილ სოლომონის ძემ ორჯონიკიძემ—„Краткая исторія о Грузіи“, დაბეჭდილია პეტერბურგში 1805 წ.

14) გიორგი თევდორეს ძემ ჟორდანიამ. ერთი ხელნაწერი.

15) დიმიტრი ზურაბის ძემ მაჭავარიანმა: ა) ბრინჯაოს მამალი, ნაპოვნია სოფელ კვალითს ნასაყდარში, ბ) ერთი შავი ფული და რვა სხვადასხვა საბუთი.

16) ნიკოლოზ ივანეს ძემ ვაჟიკაშვილმა: ა) თერთმეტი შავი ფული (ერთი ქართულია) და რვა თეთრი ფული (ერთი ქართული), ბ) ფერადი ძაფითა და მძივებით ნაქსოვი ქისა. გ) ჟურნალ-გაზეთები (მოამბე, მოგზაური, კვალი, ივერია, ცნობის ფურცელი და სხვა) და რამდენიმე ნაბეჭდი წიგნები და დ) მძივებით კანვაზე ნაკერი სახარე.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

ანგარიში

ტფილისის კალოუბნის ეკლესიის სამზრუნველოს ამავე ეკლესიის განახლების შესახებ.

შემოვიდა შემოწირულება: 1. გენერალ-ლეიტენანტის თავად ნ. ბ. ერისთავის სახლეულობისაგან 1000 მანეთი; 2. ე. ი. სარაჯიშვილისაგან 200 მანეთი; 3. აღნიშნულ ფულების სარგებელი 1912 წლისა—24 მანეთი და 78 კაპ.; 4. ე. ზ. თავად ერისთავისაგან 1200 მანეთი; 5 დარია, დიმიტრის ასულის მუსხელიშვილისაგან 1200 მ.; 6, ა. შ. იესავასაგან 20 მან.; 7. ყულაბებით შეკრეფილი და წვრილმანი შემოწირულებანი 1904 წლის 23 ოქტომბრიდან 1913 წლის 11 მარტამდის—363 მან. და 10 კ.; და 8. გ. ი. მ—გან 53 მანეთი და 20 კ.; სრულიად 4061 მან. 8 კ.

დაიხარჯა სინოდალური კანტორის არქიტექტორის ორი ხარჯთ-აღრიცხვით. 1, 4 რკინის მოაჯირის შეძენა და გადმოტანაში 72 მ. 40 კ.; 2, შუშების ჩასასმელად გუმბათში, ხატებთან, ფანჯრების ჩარჩოებში და კარებში, სასყიდლად ლაქისა ხატებისთვის, ექვსი ფანჯრების და კარების ჩასაკეტისა და ოთხის ჩარჩოსი—61 მან. 20 კ.; 3, ჩრდილოეთის მხრივ ეკლესიის ეზოში 16 საჟენის სივრცეზე ფილაქნის დაგებაში 112 მან.; 4, ორის დიდის ფანჯრის რკინის ჩარჩოებისათვის—100 მანეთი; 5, გუმბათისათვის რვა მუხის ჩარჩოებში — კარითურთ, 5 სკამში და ყულაბებისათვის შკაფში—130 მანეთი; 6. ბათქაში სამრეკლოს, გუმბათის და ეკლესიის კედლების გალესვაში და შეკეთებაში—125 მანეთი; 7. სახურავის, გარედან ეკლესიის კედლების, შკაფის, ახალი კარების და 5 სკამის შესაღებად 115 მანეთი; 8 ეკლესიის შიგნით ირგვლივ მოზაიკურ ფლანელის და რკინის მოაჯირის ეზოსთვის კარებითურთ გაკეთებაში, საფლავებზედ მარმარილოს ფიცრების წარწერითურთ დაკვრაში, საკურთხეველში პარკეტიანი იატაკის დაგებაში დ მარმარილოს ფანჯრის ფიცრების გაკეთებაში, ეზოს ძველი გალავნის დაქცევაში დ ეზოს გაწმენდაში—2100 მანეთი; 9, კანკელის და ორი სახატის განახლებაში, ზეთიანი საღებავით ეკლესიის შიგნითა კედლების, ბალკონის, ფანჯრების და კარების შეღებვაში—775 მ. დ 60 კ. და 10, არქიტექტორს ორი ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად—35 მანეთი; სრულიად 3625 მ. 60 კ. ხარჯის გამორიცხვის შემდეგ შემოსავლიდან დარჩა სამზრუნველოს განკარგულებაში ორმოცდა სამ თუმან ნახევარ და 48 კ. (435 მანეთი და 48 კ.). სამზრუნველო უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველებს და განსაკუთრებით: სახლეულობას თავად ნ. ბ. ერისთავისას. ე. ი. სარაჯიშვილისას, ე. ზ. თავად ერისთავისას და დ. დ. მუსხელიშვილისას უხვი შემოწირულებისათვის, რომლის შეოხებით ერთი ტფილისის უძველეს ეკლესიათაგანი იქმნა განახლებული.

თავმჯდომარე სამზრუნველოს საბჭოსი
გენერალ-მაიორი **გ. ი. მუსხელიშვილი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით სიას იმ პირთა, რომელთაც ქიათურაში შემოსწირეს **არჩილ ჯორჯაძის** სახელობის ფონდის გასაძლიერებლად 144 მან. და 59 კ.

სულ შევკრიბეთ 253 მან. და 70 კ. შემომწირველთა სურვილისამებრ ადგილობრივი მოწაფეთა მგალობელი გუნდი შეხვდა ძვირფას ცხედარს შორაპნის სადგურზე. მოწაფეთა მგზავრობასა და სმა-ჭამაში დაგვეხარჯა 55 მან. 32 კ., სამგლოვიარო დეპეშების გაგზავნაში 13 მ. 35 კ.

წარმომადგენლის გაგზავნა დაკრძალვაზე დასასწრებლად დაგვიჯდა 40 მ. 44 კ. ასე რომ სულ დავხარჯეთ 109 მ. 11 კ., დანარჩენი 144 მ. და 59 კ. კი გამოგიგზავნეთ.

მასთან ერთად გამოგიგზავნეთ დანახარჯი ფულის ანგარიშები და შემომწირველთა სია; თქვენ თხოვნისამებრ გიგზავნით ხელ-ახლა შემომწირველთა სიას:

ს. ტარუაშვილმა 3 მან., თ. და ს. ჯაფარიძეებმა 10 მ., თ. და ე. ბურჯანაძეებმა 10 მ., კ. და ნ. ოთხმეზურებმა 3 მ., გ. მუხაძემ 10 მ., სანდრო წერეთელმა 5 მ., ნ. ნანეიშვილმა 5 მ., ს. ქვარიანმა 5 მ. სამ-სამი მანეთი; ნ. ასათიანმა, ჯავახიშვილმა, კ. კოკაიამ, დ. ბერეჟიანმა, ბ. ელიავამ. გ. ხუნდაძემ 1 მ. 50 კ., ი. გავრილიდმა 3 მ., ე. ლორის-მელიქოვმა 2 მ., რ. ვაშაძემ ორი მანეთი, წივწივაძემ ერთი მან., ე. დეკანოზიშვილმა 5 მ., ს. აბაშიძემ 5 მ., პ. ჯაფარიძემ 1 მ., № № 50 კ., ძმ. გოგოლაშვილებმა 1 მ., კ. მასხარაშვილმა 1 მ., დ. ღუღუნიშვილმა 2 მ., კ. აბულაძემ 1 მ., გ. წერეთელმა 1 მ., კიკნაძემ 50 კ.; თოდუამ 2 მ., მ. მწარიშვილმა 1 მ., რ. ანჯაფარიძემ 1 მ., ვაწაძემ 50 კ., ილ. ბერიძემ 1 მ. კ., ღლენტმა 1 მ., საყვარელიძემ 50 კ., ა. რამიშვილმა 1 მ., დ. შარვაძემ 50 კ., ალ. ჩაჩანიძემ 1 მ., კ. წერეთელმა 2 მ., ჯეშიშევმა 3 მ., ვ. კაპანაძემ 50 კ. თითო მანეთი: ვ. ჩიმაკაძემ, ნ. მუშკინმა, ი. ბახტაძემ, გ. ნემსაძემ, ვ. იაკობიძემ. № № 2 მ., თითო მანეთი: ვ. ბარათაშვილმა, ს. კაციტაძემ, გ. ბერიძემ, გ. მიქაშავიძემ. ნ. ქობულაძემ 2 მ., ნ. საღარაძემ 1 მან., ნ. მახოვმა 1 მან., №№ 2 მ., ბ. კვინიხიძემ 50 კ., №№ 50 კ., ჯიმშილეიშვილმა 1 მ., ი. ჯაბუამ 50 კ., გ. კორძაიამ 50 კაპ., ლ. ძიმისტარაშვილმა 50 კ., №№ 50 კაპ., ხაჯალიამ 1 მ., მ. ხელიძემ 1 მ., ჭყონიამ 50 კ., ხუციშვილმა 40 კ., ვაშაძემ 1 მ., კვანტალიანმა 50 კ., კობახიძემ 40 კ., ს. ლეჟავამ 3 მან., კ. ქიქინაძემ სამი მანეთი, ნ. დგებუაძემ 1 მან., პ. წერეთელმა 1 მ. სარჯველაძემ 3 მ., გ. გაჩეჩილაძემ 40 კ., №№ 3 მ., ისაკომ 1 მ., ვლადიმერმა 1 მან., ერ. [illegible] 1 მ., ის. გაჩეჩილაძემ 1 მ., ვლ. [illegible]რაძემ 1 მ., ილ. კობრეიძემ 1 მან., ჭიათურის ბანკიდგან 10 მ., პ. თოფურიამ 6 მ., პ. მესხმა 50 კ., პ. აბაშიძემ 1 მ., №№ 2 მ., პ. ბერიძემ 1 მ., ილ. რატიანმა 1 მ., ავდეევმა 5 მ., ივ., მეძმარიაშვილმა 1 მ., ნ. ბუაჩიძემ 1 მ., ნ. წერეთელმა 3 მ., ვ. ბაქრაძემ 1 მ., ს. კაცარავამ 1 მ., კევიშვილმა 50 კ., კევიშვილმა ყარამანმა 1 მ., პანოლოპულომ 6 მ., ე. სალთხნიკმა 5 მ., №№ 6 მ., პერსენაკმა 15 მან., ილ. კაკაბაძემ 10 მ., ა. ბურჯანაძემ 3 მ., ძმ. კაცარავებმა 2 მ., სამ. ფალავამ 3 მ., სარ. ფალავამ 2 მ., ვლ. დოდელიამ 3 მ., ის. ვაშაძემ 3 მან., მ. ვოლსკის ქალმა 1 მ. 50 კ., ნ. კაკაბაძემ 1 მ., ვ. ხალვაშის ქალმა 2 მ., ვ. აბდუშელიშვილის ქალმა 1 მ. 50 კ., რადგან შემომწირველნი თვითონ აწერდენ ხელს, ბევრგან ვერ გავარჩიეთ გვარი. სადაც ვერ ამოვიკითხეთ, იქ № დავსწერეთ. [illegible]სასრულ მადლობას ვსწირავთ შემომწირველთ, რომ კეთილ ინებეს და თავისი წვლილი არ დაიშურეს განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

კომისიის მონდობილობით **თ. ბურჯანაძისა და რ. ვაშაძე.**

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! თქვენ გაზეთში ამოვიკითხე, რომ მე ამოურჩევივართ დეპუტაციაში მეფის მოადგილეს მისალოცად, იმის ტფილისის საპატიო მოქალაქედ ამორჩევის გამო.

ვალდებულადა ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო შემდეგი: იმ კრებაზე, რომელზედაც გადასწყდა ეს საკითხი, მე არა ვყოფილვარ. ამიტომ ჩემი არჩევა მოხდა ჩემდა უნებლიედ და სრულიად მოულოდნელად.

ხმოსანი **შალვა ალექსი-მესხიშვილი.**

P. S. ვთხოვ იმ გაზეთებს, რომელთაც ჩემი გვარი დეპუტატთა შორის მოათავსეს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

შ. მესხიშვილი.

აგრეთვე მივიღეთ შემოწირულება: სამ-სამი მანეთი: ამბროსი კვირიკაძემ, მღვ. ს. რცხილაძემ, მღვ. ალ. გულისაშვილმა.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ თქვენს პატივცემულ გაზეთში (№ 1052-ში) მოთავსებული კორესპონდენცია ბერთუბან-პატარძეულის შესახებ, „უცხოს“ ფსევდონიმით, მე არ მეკუთვნის, როგორც ზოგიერთნი ჰბრალებენ. *)

პატივისცემით **გიორგი ლეონიძე.**

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ზემოხსენებული კორესპონდენცია გ. ლეონიძეს არ ეკუთვნის. **რედ.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** სად. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და 32 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათევოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
[illegible]—7 **პ. ლ. კიკალიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. ბაგდასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ა. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. **ფომინა-თახიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

Верійская парная баня
ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იხილეთ
ზ. ი. აბრამაშვილის
ა ბ ა ნ ო შ ი.
—◆ ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში ◆—
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
გვყავს ქართველი და სპარსული გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი** და **ცხელი დუში** სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ.	3 მ.
საქართ. ისტორია ვახუშტისა, .	2—
„ „ ბაქრაძისა, .	1—
„ „ 1-ლი ნაწ. ბროსესი,	70 კ.
„ „ 2-რე ნაწ. „	70 „
ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში, .	—50 „
იმერეთის მეფე სოლომონ მეორე,	—25 „
პარიზის ქრონიკა, . . .	—30 „
Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I, . . .	—40 „
Багратъ Епископъ Товромеiйскій	1—
Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи, .	—60 „
Матеріялы по Грузин. агіологіи	—80 „
Правила VI Всел. Соб. . .	1—— „
ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи,	40 „
ხონელი. Къ 100 лѣтію Крцанисской битвы, ...	—30 „
ახალი წიგნები:	
ქართული ენისთვის ბრძოლა, თ. ჟორდანიასი, ...	—20 „
ისტორიული საბუთები წ. 2-რე ს. კაკაბაძე, ...	—85 „
ორი ლექცია, ბ. ხერხეულიძისა, .	—30 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

—◆ გამოსულია და იყიდება ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოზი, იანი, ჭიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და
კონსერვები. 1368

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.